ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VII 2015

ლია ჯიმსიაშვილი

ღვთისმშობლის ხატ-სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

(მიხეილ ჯანსიაშვილი)

ქართულ მწერლობაში ძველი სამყაროს, ბიბლიური სახეების გაცოცხლება ხშირია, რაც მწერალს მეტ შესაძლებლობას აძლევს მხატვრულ სიტყვაში სიღრმისეულად განასახიეროს ის სათქმელი, რომელიც მას ჩანაფიქრში აქვს. ამ შემთხვევაში პოეტის სათქმელი ეხება ისეთ მნიშვნელოვან სახეს, როგორიცაა მარიამ ღვთისმშობლის ხატ-სახე გადმოტანილი მწერლობაში და ასახულ-განსახიერებული მხატვრულ სიტყვაში, რომლის ძალითაც ჩვენში თვალსაჩინოვდება რთული მისტიკურ-რეალური პლანი, რაც ადამიანის გონებისგან ფარულია, მაგრამ მისი ნაწილობრივ გააზრება მაინც არის შესაძლებელი.

ღვთისმშობლის სახის გააზრებას მივყავართ იმ დაუსრულებლობისაკენ, მარადიულისაკენ, რასაც უფალი უსახავს მუდამ ადამიანს და შეახსენებს იმ უძლეველ ძალას, რასაც სიყვარული ჰქვია, რამეთუ მისი რწმენის გარეშე ნებისმიერი რამის წვდომა კი არა, უბრალოდ წარმოდგენაც კი შეუძლებელია; თითქოს სიყვარულმა შთანთქა და დაიმორჩილა ყოველივე, თავის საფარქვეშ მოაქცია სხვა უმთავრესი ღირებულებები, მაგალითად, რწმენა, სასოება... გავიხსენოთ პავლე მოციქულის ეპისტოლე: "ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს'' (I კორ. 13, 13). სწორედ უფლისაგან მომდინარე სიყვარულის წყალობით ხდება ღვთისმშობლის სახესთან ზიარება, შერწყმა და გათავისება იმისა, რომ ის არის მთავარი, რამაც თითოეული ადამიანი ჩაახედა საკუთარი სხეულის სიღრმეში დასადგურებულ ამოუცნობ ტკივილებში, გააააზრებინა იგი და ამით აზიარა სულიერებას, რომელიც არის მარადიული, დაუსრულებელი და დაუსაზღვრელი.

ღვთისმშობლის სახე იმდენად ტევადია და მრავლისმომცველი, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში რაც უნდა მაღალმხატვრული სიტყვით იყოს გადმოტანილი, მაინც ვერ შეიძლებს სრულყოფილად მისი სახის ახსნას და გადმოცემას, მაგრამ ადამიანის გონების სულიერის მიუწვდომლობას ცოტათი მაინც ამოავსებს, სიწმინდით აღამაღლებს, მადლს მოჰფენს და იდუმალისა და მისტიურობის ირეალობას აზიარებს, რის გარეშეც თვით ამქვეყნიური ცხოვრების არსის გაცნობიერებაც შეუძლებელია, რადგან მიწიერი ყოფა განუყოფელია სულიერი ცხოვრებისაგან, რომელიც დასახა შემოქმედმა და განხორციელდა ერთარსება სამი პირის მიერ და, მათ შორის, განუყოფლად მოიაზრება, რა თქმა უნდა, მარიამ ღვთისმშობელი, მისი მარადიული ხატ-სახე.

ღვთისმშობლის სახის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არის მოცემული ქართულ მწერლობაში, მაგრამ მისი ხატ-სახე ერთია და მთელი სიღრმით გაცხადებული და ადამიანის გონების მიერ აღქმული, გააზრებული და გადმოტანილი ამქვეყნიურობაში, უპირველესად, იმიტომ რომ, მიწიერმა

გაითავისოს ის ტკივილი, ხვედრი და მისია, რაც მას ხვდა წილად და ადამიანი წაიყვანოს, მუდმივად მიაბრუნოს სულიერი სიღრმეებისაკენ და შეაცნობინოს მისი არდავიწყება; აქვე შეგვიძლია ზოგადად აღვნიშნოთ, რომ მისი სახე სხვადასხვა სიმბოლოს მეშვეობით გაიაზრება, კერძოდ: "მაყუალი'', რომელიც ბიბლიური მოსეს ალმოდებული ეკლის ბუჩქის ჰიპოდიგმიდან გამომდინარეობს (გამოსლვ. 3,2), რომელიც "ფართოდ არის გავრცელებული ქრისტიანულ მწერლობაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მწერლობისათვის მისი დაკავშირების გამო წმიდა ნინოს სახელთან'' (ქ. ბეზარაშვილი, ბ. კული, 2000, გვ. 56); "ეკლის ბუჩქი'', "მაყუალი სულიერი, რომელი ეჩუენა მოსეს მთასა სინასა მოტყინარე შეუწველად, სახედ შენდა გამოჩნდა, ღმრთისმშობელო ქალწულო'' (გერმანე პატრიარქი, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი; ქ. ბეზარაშვილი, 2000, გვ. 67). "მაყვლოვანის'' სახე წარმმართველია "წმიდა ნინოს ცხოვრებაში'', რამდენადაც იგი მოვიდა ღვთისმშობლის ნაცვლად და მისი ბრძანებით განსანათლებლად და საქადაგებლად საქართველოში, ამდენად, ამ სახეში გაერთიანებულია მიწიერი და ზეციური, ჰიპოდიგმურ-პარადიგმატური მიმართება ღვთისმშობელსა და წმ. ნინოს შორის; გარდა ამისა, როგორც ქ. ელაშვილი წერს, ორ უძველეს სასულიერო ძეგლში "წმიდა შუშანიკის წამება", "წმიდა ნინოს ცხოვრება'' მცენარეთა (მაგალითად, მაყუალი) და საკუთარ სახელთა ("შუშანიკ'') ქრისტიანული სახისმეტყველების საფუძველზე იკვეთება ღვთისმშობლის სიმბოლური სახე. "მაყვლოვანში'' იგულისხმება ღვთისმშობელი ან ღვთისმშობლისგან "ხელდასხმულნი'', როგორც ეს არის მინიშნებული "წმინდა ნინოს ცხოვრებაში'' (ქ. ელაშვილი, 2000, გვ. 45). "წმინდა ნინო იყო "დედა'' ქართლის მკვიდრთა, მათი სულიერი დედა, ალბათ, ძირითადად ესეც ღვთისმშობლის ანალოგიიდან მომდინარეობს'' (რ. სირაძე, 1997, გვ. 106).

"იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში'' ვკითხულობთ: "გამოეცხადა ანგელოზი ღმრთისაჲ ცეცხლითა მაყულოვანსა მას შინა, საიდუმლოჲ ქალწულისაჲ, და ზარგანჴდილი მოვიდა ხილვად'' (ძეგლები, 1963, გვ. 193).

გარდა მცენარეული სიმბოლიკისა, ღვთისმშობლის სახე შეიძლება გამოიხატოს წმინდანთა სახელებშიც, მაგალითად, "წმინდა შუშანიკის წამებაში'' იაკობ ხუცესი წერს: "...მამისაგან ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ'' (ძეგლები, 1963, გვ. 11). ე.ი. ამ სახელში ჩატეულია სიწმინდე და უფლისმიერი სიყვარული. სიწმინდე კი ღვთისმშობელზე არის მინიშნება. "შუშანიკ'' ნიშნავს "წყლის შროშანს", "შროშანი'' კი ქრისტიანულ კულტურაში ასოცირდება ღვთისმშობელთან... ისიც ბუნებრივია, რომ პირველი მარტვილი ქალი სწორედ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოთი უნდა შემოსულიყო ქართულ ჰაგიოგრაფიაში, როგორც ეს მოხდა შუშანიკის შემთხვევაში (ქ. ელაშვილი, 2000, გვ. 46-47).

ღვთისმშობლის სახე წარმოჩნდება ძველი აღთქმისეული სიმბოლოებით: "კუერთხი ძირისა იესესი'' (ესაია 11,1), "სადგური ღმრთისა იაკობისი, "ადგილი წმიდაჲ ყოვლად წმიდისა სიტყჳსაჲ — "სახლი ღმრთისაჲ'' და "ბჭე ზეცისაჲ'' (დაბ. 28,17).

იოანე დამასკელი გარკვეულ ადგილს უთმობს ღვთისმშობლის სიმბოლური სახეების ჩვენებას, ის არის: "კიბე იაკობისა'' — სულიერი კიბე, შემაერთებელი ცისა და ქვეყნისა, "მთაჲ ღმრთისაჲ, იგივე "მთაჲ სინაჲ'' — სულიერი მთა,

რომლისგანაც ღვთის "სიტყვის" განკაცება მოხდა. იოანე დამასკელი იყენებს, აგრეთვე, ღვთისმშობლის სახის ტრადიციულ ეპითეტებსა და მეტაფორებს: "ასული შუენიერებისა და სიტკბოებისაჲ", "შროშანი სულნელებისაჲ", "ვარდი საწადელი", "ასული სიწმიდისაჲ", "ასული ადამისი", "დედა ღმრთისაჲ", "ასული კურთხეული", "ევაჲს აღმართებაჲ", "ვენახი რქაშუენიერი", "ძეგლი საღმრთოჲ სულიერი", "ტაძარი ღმრთისაჲ", "ცათა მიმსგავსებული ეკლესიაჲ", "დედოფალი დაბადებულთაჲ," "კარავი ღმრთივ-შემზადებული და ბჭეჲ ნათლისაჲ", "ტრაპეზი ღმრთივდაგებული", "ბეჭედი საუფლოჲ", "წიგნი დაბეჭდული", "სძალი რჩეული" და მრავალი სხვ. (ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986, გვ. 105-125). ს. მახარაშვილის აღნიშვნით, "წმინდა ქალწულის დაბადება მომასწავებელია ქვეყნის კურთხევისა და კაცობრიობის გამოხსნის დასაწყისისა. იგი ნიშანია ევას მიერ წაწყმედილი, ცოდვით დამძიმებული ადამის მოდგმის განახლებისა, რადგან მარიამისაგან იშვება ძე ახალი, ძე ღვთისა, რომელიც აღადგენს დარღვეულ სულიერ კავშირს მიწასა და ზეცას შორის" (ს. მახარაშვილი, 2000, გვ. 77).

ღვთისმშობლის ხატ-სახე ყველაზე მკვეთრად და ნათლად გამოკვეთილია გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოებში "იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება" (ძეგლები, 1963). გიორგი მთაწმიდელი გვაუწყებს, რომ, როდესაც ახალგაზრდობისას ეფთვიმე ავად იყო და სიკვდილს იყო მიახლებული, ნეტარი იოანე იტყოდა: "სასოება წარვიწირე ცხორებისა მისისა... შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისასა და ცრემლითა მხურვალითა ვევედრებოდე უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა, რათა შემწე ეყოს და ყოს ლხინება...რამეთუ იქმნა მოხედვა წმიდისა ღმრთისმშობელისა..." (ივ. ლოლაშვილი, 1978, გვ. 239). აგრეთვე, გიორგი მთაწმიდელი მკვეთრად შეგვახსენებს მარიამ ღვთისმშობლის მფარველობის იდეას: "...წმიდამან ღმრთისმშობელმან ჩვენ გლახაკთა გვიბოძა დიდებული იგი დიდებისა თვისისა ტაძარი და ყოვლადვე გვიღვწის და გვფარავს უღირსთა ამათ და უცხოთა მადიდებელთა და სამწყსოთა თვისთა" (ივ. ლოლაშვილი, 1978, გვ. 267).

ღვთისმშობელმა აღხოცა ევას მიერ დანერგილი პირველცოდვა, თავად იტვირთა ცოდვებისაგან განძარცვა, განწმენდა კაცობრიობისა, რაც განხორციელდა მისი ძე-ღმერთით, რომელიც, როგორც ღვთისმშობლის მიერ შობილი, ქალწულებრივი, უცოდველი სხეულით არის მოსილი. "ადამის ხსნაო და ევას აღდგომაო", — წერს იოანე შავთელი საგალობელში "გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი" (ივ. ლოლაშვილი, 1978, გვ. 549).

ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოჩენის ტრადიცია თვალნათლივ გამოკვეთილია საერო მწერლობაშიც, რისი დადასტურებაა აღორძინების ეპოქის მწერლობა, კონკრეტულად კი აკაკის ერთ-ერთ წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ თეიმურაზ პირველი, რომელმაც პოემაში "წამება ქეთევან დედოფლისა" (თეიმურაზ პირველი, 1934) ღვთისმშობლის სახე დედის მოწამეობრივი ღვაწლის გადმოცემისას წარმოაჩინა, ალბათ, იმიტომ, რომ ქეთევანი დედოფალი იყო და მასაც მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა დაკისრებული ქვეყნისა და ერის წინაშე. ვფიქრობთ, თეიმურაზ I-მა დედის სახეში ღვთისმშობლის მონაცვლეობა დაინახა და ამიტომაც ასე მეტყველად და შთამბეჭდავად წარმოაჩინა დედის სახე. ავტორი წერს: "იესოვ, შენ გევედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,/

აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია — ამაზედაო,/ ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,/ იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!'' (სტრ. 5). თვით ქეთევან წამებული საკუთარ ლოცვის სტრიქონებში ვედრებას გამოხატავს შემოქმედი ღმერთისა და დედა ღვთისმშობლისადმი: "ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,/ ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგომასა./ იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმაბარე თომასა,/ დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასა'' (სტრ. 41).[1]

აგრეთვე, უფრო ღრმა პარალელი ძევს ამ კუთხით აკაკის შემოქმედებისა დავით გურამიშვილის ნაწარმოებთან "დავითიანი'', მაგრამ აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ღვთისმშობლის სახის გააზრებას უდროობასა და ზესივრცეში გადაჰყავს ადამიანი და შეაცნობინებს და უღვივებს რწმენას ღმერთთან დაბრუნებისა და ცხოვნებისა, უნერგავს და უძლიერებს ღმერთთან განუყოფლობის რწმენას, ეს კი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ სამყაროზე, სრულქმნის განწყობას ქმნის ადამიანის არსებაში; ადამიანი, როგორც ერთი მთლიანი სამყარო — სულიერ-ხორციელის გაერთიანება, ქმნის, ასევე, ერთ მთლიანობას ღმერთთან, ღვთისმშობელთან, უფალთან. ეს უნივერსალური კანონი მოიცავს სიკვდილისა და სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილის ცნებებს.

აკაკი წერეთლის პოემა "თორნიკე ერისთავი'' მნიშვნელოვანი ფურცელია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. პოემის ფურცლებზე მხატვრული სიტყვის მეშვეობით განფენილი და გაცოცხლებულია წარსული, რომელიც აწმყოსთან განუყოფლად არის წარმოდგენილი, რადგან წარსულის ფენომენი თანამედროვეობის განახლების, განმტკიცების საფუძველია, რათა მან უნდა განამტკიცოს რწმენა მომავლისა: "ნაშთი ძველი დიდებისა/ არგამქრალა ჯერაც ყველა.../ დღესაც მისი შარავანდით/ ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..'' — ვკითხულობთ "თორნიკე ერისთავში''.

წარსულის, აწმყოს და მომავლის გამაერთიანებელია რწმენა რელიგიისა, რაც ხაზგასმულია უფალთან ერთად მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეის წინ წამოწევით პოემაში და, აქედან გამომდინარე, ღვთისმშობლის ხატ-სახის მხატვრულ სიტყვაში მეტი სიღრმისეული განფენით და იმის აღნიშვნით, რომ ამ დროისათვის საქართველოს თავზე "ბუნდის'' ანუ ნისლის (მტრისგან შევიწროების) განმაქარვებელი მარიამ ღვთისმშობლის მფარველი კალთაა, რომელიც მუდამ იცავდა თავის წილხვედრ საქართველოს; აქვე გავიხსენოთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, საქართველოს მფარველის, ღვთისმშობლის წილხვედრილობის რწმენა მომდინარეობს იქიდან, როდესაც მაცხოვარმა თავისი მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქადაგებლად დააგზავნა, მარიამ ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველო, მაგრამ ის არ წამოსულა საქართველოში, რადგან მისი მიძინების ჟამი მოახლოებულიყო. მან თავის

[1] თეიმურაზ პირველის "წამების'' მიხედვით ზოგადად ვსაუბრობთ ჩემს წინა შრომებში: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის "წმიდა შუშანიკის წამება'', თეიმურაზ პირველის "წამება ქეთევან დედოფლისა''), ტ. I, თბ., 2010; ტ. II, თბ., 2012; საკითხი თეიმურაზ პირველის ყველა ნაწარმოების და ქართული მწერლობის ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით უფრო ფართოდ გაანალიზებული იქნება ჩემს მორიგ წიგნში, რაც გამოვა უახლოეს მომავალში.

ნაცვლად მაცხოვრის პირველი და უკანასკნელი მოწაფეები — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი გამოაგზავნა; რადგან საქართველო მარიამს ხვდა წილად, ე.ი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო მისი წილი და ხვედრია და მასზე მან უნდა იზრუნოს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მარიამ ღვთისმშობლის ხატი საქართველოში ჩამოაბრძანეს, მის მიწაზე დაივანა და იმ დღიდანვე ქართველ ერს და მის სამშობლოს მფარველი კალთა გადააფარა.

აკაკი წერეთლის ბევრ ნაწარმოებში არის ხაზგასმა ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეისა საქართველოს მიმართ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველთათვის. მის ისტორიულ დრამაში "პატარა კახი" კახი ამბობს: "ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო/ რომ ამოვარდეს — სწორედ არ მჯერა!.." (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 345); მოხუცი ბრმა გელად წოდებული ამბობს: "არა, უფალი სულ არ გასწირავს/ ღვთისმშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!/ მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება/ მან იგულისხმოს და შეინანოს!.." (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 370). "ნათელაში" ვკითხულობთ: "...საქართველოს მფარველი/ დიდი ყოფილა ძლიერი!" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 229). ნათელა: მტრებს "ეგონათ თუ ქართლის ბედი/ საუკუნოდ მიეფარა/ და მომავალ სიცოცხლესაც/ შავი მიწა მიეფარა!.../ რა იცოდნენ, რომ მის წილხვედრს/ დედა ღვთისა არ სწირავდა/ და ტანჯვაში გამობრძმედილს/ მომავლისთვის იფარავდა!" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 199). კიდევ: "...რა შეგცოდეთ, ღმერთო, შენო,—/შენს მორწმუნეს, ღვთისმშობლის ხვედრს/ ამ სატანჯველს რომ უჩენო?" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 219).

"კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა/ მაღლით ციური აფენდა ნათელს" ("თორნიკე ერისთავი", 1977, გვ. 182); "შუამდგომელ იქმენ ღმრთისა და კაცთა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შენ მიერ განვერენით ბნელისაგან ღამისა წყუდიადისა, და ღირს ვიქმნენით ნათელსა მამისა შენისასა" (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971, გვ. 70); აქვე: "განამტკიცენ, უფალო, გონებანი ჩუენნი ნათლითა მით დაუღამებელითა..." (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971, გვ. 89).

მძიმე განსაცდელის დროს პოემაში ავტორის მიერ მარიამ ღვთისმშობლის ამაღლებული სახის ჩვენება ქართველთა თავზე ერთგვარი წყალობაა, რის მეშვეობით ქართველი ერი მუდამ უმკლავდებოდა მტერს, სხვადასხვა საცთურს, დაბრკოლებებს... მარიამ ღვთისმშობლის სახის ჩვენება ქართველი ადამიანის გონებას სრულყოფს, რათა მეტად ჰპოვოს გადარჩენის გზა, იპოვოს გამოსავალი... ეს გამოსავალი და გზა არსებობს ქრისტიანულ რწმენაში, რაც მფარველობდა და ამაგრებდა ქართველ ერს და მის სამშობლოს და რომელსაც მუდამ დარაჯად ედგა ქართველი. კერძოდ, პოემის II კარში ვკითხულობთ, რომ, როდესაც ბერძნები ბარდა სკლიაროსის შემოსევებისაგან შეწუხდნენ, გადარჩენის გზის ძიებისას ბერძენი სევისტოფორი დამსწრეებს შეახსენებს, რომ არსებობს ერთი ქვეყანა "მპყრობელი ქრისტეს სჯულისა, საქვეყნოდ დამნახვებელი ქვეყნიურ სასწაულისა"; ცხადია, აქ სევისტოფორი საქართველოს გულისხმობდა: "თქვენც იცით, არის ქვეყანა,/ მპყრობელი ქრისტეს სჯულისა,/ საქვეყნოდ დამნახვებელი/ ქვეყნიურ სასწაულისა ("თორნიკე ერისთავი"). აქვე: "მოყვრულად მოყვრის მიმღები,/ მტრისა დამცემი ზარისა,/ პირველ მეომრად ცნობილი/ დღეს ქრისტეს წმინდა ჯვარისა./ საქართველოა ეს მხარე, წილხვედრი ღვთისა დედისა!.../

ჭირში მაგარსა არ უყვარს/ სუსტად მოდრეკა ქედისა!.. '' (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 154).

პოემაში "თორნიკე ერისთავი'' ქართველი ერი ღვთის მადლით მოფენილ და მირონცხებულად არის წარმოჩენილი: "ვინ მოგვითხრას მათი საქმე,/ უთვალავი, საგმირონი/ და ან მათზე გადმოსული/ მადლი ღვთისა და მირონი?'' ქართლის ერი ლაჟვარდ ფერად არის წარმოსახული, რომლის უსაზღვროებაშიც ქართველი ერის ღვთიურობა ირეკლება (თუნდაც ისაზღვრება); ქართლის ზენა მადლი — ღვთიურობა მუდამ იყო გადმოსული, გადმოღვრილი, რომლის მფარველობის ქვეშ სულს იბრუნებდა და აღაზევებდა.

ადამის სისხლისმიერმა ცოდვამ ისედაც მბრუნავი ქვეყანა ცვალებადი გახადა: "ცვალებადია წუთის სამყარო.../ რაც კი არსებობს, ყველა იცვლება!'' ("პატარა კახი'', 1977, გვ. 392); კიდევ: "ეს დრო და ჟამი ცვალებადია!../ დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის "ხვალე'' ("პატარა კახი'', აკ. წერეთელი, 1977, გვ. 370); "ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის/ სიტკბოებისა ფიალი?/ ვის არ უნახავს მის ბედის/ წაღმა-უკუღმა ტრიალი?'' (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 151) და რადგან ცვალებადმა ქვეყანამ წუთისოფელი მახედ და ბადედ აქცია, გამოსავალი ღმერთისკენ, პირველი მიზეზისაკენ მზერაში უნდა ეპოვათ, თორნიკე ერისთავი ამბობს: "ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,/ ყოველ მიზეზის მიზეზსო''; კათალიკოსი: "დიდაარს მხოლოდ ღმერთი-უფალი/ აქ, ქვეყანაზე, და ცათა შინა!...'' ("თორნიკე ერისთავი''); ისტორიულ დრამაში "თამარ ცბიერი" მგოსანი ამბობს: "ღმერთო ძლიერო, კურთხეულ იყოს/ შენი ძალა და შენი განგება!/ შენა ხარ ჩვენი გულთამხილავი,/ შენ გშვენის ქვეყნის ქებათაქება!'' (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 271).

აკაკი წერეთელს სიუჟეტურად ისე აქვს საკითხი წამოჭრილი, რომ გააცოცხლოს წარსულის ხატი და მეტი ღვთიურობა და ნათელი აგრძნობინოს მკითხველს. ათონის წმინდა მთის აღწერისას, ვკითხულობთ, რომ მაღლობზე მდგარი ტაძარი გვაგონებს სამოთხის სადგურს, რომელსაც "ხან ისარივით სხივები/ დილის მზის ეტყორცებიან,/ თითქოს იმ საღმრთო ნათელსა,/ ნათლითა ეხორცებიან'', იქვე მომდინარე წყარო "წმიდა აიაზმაა'', ირგვლივ სიმწვანეში (ახალი, განახლებული) იკვეთება და ყვავილები თითქოსდა საკმეველს აფრქვევენ და "ჰაერს შეაზავებენ''. ეს არის "ცისა და ქვეყნის'' შემყარება; ათონის ზეცა ქვეყანას მხოლოდ სულიერი თვალით უყურებს, რასაც აძლიერებს ქართველი ადამიანის და, საერთოდ, ქართლის წარმოსახვა ნათლის სხივების მომფენად, როგორც ნათლის ბნელის გამფანტველად; ნათლის სხივების, უფლის სხივების მომფენად, დიდი მადლის მიმნიჭებლად სწორედ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილობის მისიაა: "დედაჲ ნათლისაჲ შემწედ აღვიაროთ, მორწმუნენო...'' (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971, გვ. 64). უიმედო და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბერძნებისათვის ქართლის ხსენებაზე: "როგორც რომ ბნელსა ღამესა/ მთვარე გამოჩნდეს უეცრად/ და გაანათოს მიდამო/ სხივების ფენით ვერცხლისფრად,/ ისე ქართლისა ხსენებამ/ გამოაფხიზლა კრებული/ და აღუბეჭდა იმედით/ მათ სახე შეწუხებული...'' (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 154). ქართლის ხსენებასთან ბუნებრივად ჩნდება ღვთისმშობლის ხატ-სახე, რადგან ქართლის ქვეყანა და ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეა ერთმანეთისაგან განუყოფელი მთლიანობაა, ერთი მოიაზრებს მარიამ ღვთისმშობლის ხატს და მის მისიას, მფარველი კალთის ქვეშ განხორციელებულს...

ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეას, როგორც ჭეშმარიტების გადმოფენას, ლოცვის სათნოებასთან კავშირში, მასთან თანაზიარობაში განიხილავს ავტორი, რადგან თვლის, რომ მისი შემწეობით მადლი მეტია და სულის მეტად განმასპეტაკებელი; ეს ბუნებრივიცაა, რადგან მარიამ ღვთისმშობელი ხომ, უპირველესად, ლოცვა-ვედრებით იფარავს თავის წილხვედრ ქვეყანას და ერს, რათა უფრო შეაგრძნობინოს ადამისეული კაცობრიობის ცოდვა და თითოეულმა ქართველმა ადამიანმა მონანიების გზით გაიკვალოს გზა სასუფევლისაკენ. "...ლოცვა კარია/ ცოდვილისათვის სინანულისა..." მაგრამ ლოცვა საქმით უნდა იქნას განხორციელებული და განსრულებული: "...თვინიერ საქმის,/ სიტყვით ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?/ და მრავალისა მეტყველებითა/ ვერვინ გაიღებს სამოთხის კარსო?" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 162). საქმე კი კეთილი უნდა იყოს, ეს კი არის "ქრისტიანობის სვეტიცხოველი" ("თორნიკე ერისთავი", 1977, გვ. 163).

ღვთისმშობლის მფარველობით და შეწევნით თორნიკე ერისთავს ქართლის კათალიკოსი მნიშვნელოვან მისიას აკისრებს — კეთილი საქმის განხორციელებას უცხო მხარეში, ათონზე: "...შეიბ მახვილი და გარეგნობით,/ დროს შესაწონად, იცვალე ფერი/ და გამოიხსენ განსაცდელისგან/ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 164). ბერად შემდგარ თორნიკეს ურჩევენ კათალიკოსი და მეფე, რომ შინაგანად, შინაგანი ჯვრით, რაც ღმერთის მიერ არის ბოძებული და მარიამ ღვთისმშობლის მიერ არის მინიჭებული, გაძლიერებული და კურთხეული, ის მაინც სულიერი მოძღვარი იქნება, გაიხადოს ბერის სამოსი და ამჯერად სადაც უფრო საჭიროა, იქ განახორციელოს თავისი მისია, რაც საწინდარი იქნებოდა მთელი საქრისტიანოს "ნათელძღვიერებისა". თორნიკე ერისთავს გარეგნულად ახალი შესამოსლით მოსილს, მაგრამ შინაგანად ისევ ჯვრის საჭურვლით აღვსილს და მოსილს, როგორც უპირველეს სიმდიდრეს, ახალი ნათლისმიერი კარი უნდა გაეღო ქრისტიანი ერისათვის; მსგავსად უფლისა, იოანე თორნიკ-ყოფილმა, მარიამ ღვთისმშობლის მიერ ბოძებული მადლით, ორგვარი ბუნებით დასძლია საცთური და მორიგ მხსნელად მოევლინა ქრისტიან ერს. "ვითარცა ჭეშმარიტად ღმრთისმშობელი ხარ, ყოველნი მორწმუნენი გიგალობთ შენ, რომელმან უთესლოდ მუცლად-იღე მოწყალ და გჯშევ ჩუენ ჴორცითა განუყოფელი ღმრთეებაჲ ორითა ბუნებითა მჴსნელად ჩუენ განწირულთა" (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971, გვ. 87); "ადიდე შენ, მაცხოვარ, ღმრთისმშობელი, რომელმან გშვა შენ, რომლისა მიერ მჴსნელმან ჴორცნი შეისხნა, რომლითა მიჴსნა ჩუენ, ვითარცა სახიერმან ღმერთმან, ცოდვათა ჩუენთაგან. ჩუენ ყოველნი ვჰნატრით მას, და შენ მხოლოსა გალობით გადიდებთ" (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971, გვ. 86).

პოემის მიხედვით, ათონის ქართველთა სავანე მიტოვებულია, მაგრამ ღვთისმშობლის მადლით დაცული, სადაც კარი მუდამ ღიაა, სადაც "ბუდობს მხოლოდ წმინდა ფუტკარი;/ და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა/ ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 189); ე.ი. მიუხედავად მიტოვებულობისა, უდაბნოს მსგავსად, სადაც მეტად არის შესაძლებელი დასახული სულიერი მისიის აღსრულება, ეს ადგილი ცხოველია, სულიერებით, სიწმინდით და მადლით აღსავსე. სწორედ უდაბნოდ ქცეულ სავანეებში მეტად არის გამომჟღავნებული ღვთისმშობლის მფარველობა და მისი მადლიანი კალთის

სიძლიერე; ამ უდაბნოში, ათონზე, წმინდა მთაზე ბერძნების დახმარების სანაცვლოდ, მათი დახმარებით: "იქ ააშენეთ მით მონასტრები,/ რომ სუყოველდღე, წირვა-ლოცვის დროს,/ იხსენებოდეს ქართველი მკვდრები./ აუგეთ ერთიც ახალი ლავრა/ ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,/ რომ მის წილხვედრი მცირე ივერი/ მსხვერპლს სწირავდეს მის მფარველს და მხსნელსა" (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 191).

ქართველთა ივერთა მონასტერი შემდეგში მეცნიერების და მწიგნობრობის კერად იქცა, კერად, რომლის მიღწევებმა ნათელი სხივი მიაფინა ქართველთა თაობებს; ყოველივე სიბნელეს ნათელი მოაფინა თორნიკეს ღვთიურმა თავდადებამ, რა თქმა უნდა, უფლის შეწევნით და მარიამ ღვთისმშობლის მადლით. ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ გადმოცემა IX საუკუნიდან, იმპერატორ თეოფილეს მეფობიდან ცნაურდება, ხატმებრძოლობის პერიოდში. ღვთისმშობლის ხატის გადარჩენა დაკავშირებულია ერთ ღვთისმოსავ ქვრივთან, რომელმაც ხატი მტრის მსახვრალი ხელისაგან იხსნა. ხატის გამოჩენა ათონის ივერიის მონასტერთან სვეტის სახით ეუწყა ივერიის სავანეში მყოფ ღვთისმოსავ ივერიელ ბერს გაბრიელს, რომელმაც სიზმრად იხილა ზეციური სხივით გაბრწყინებული ღვთისმშობელი. ღვთისმშობლის ხატი ქართველთა სავანეს მცველად და მფარველად მოევლინა. ღვთისმშობელმა ისიც აუწყა, რომ უნდა დაებრძანებინათ კარის შესასვლელთან, ჭიშკართან, რითაც ღვთისმშობელმა გამოხატა მფარველობა რჩეული ერისადმი, რომელზეც ოდითგან დღემდე მის მიერ გარდამოვლენილი სასწაულებრივი მადლი უსაზღვროა. ღვთისმშობლის შუამდგომლობით საქართველო და ქართველი ერი, მისი კვართის სამოსლით შემოსილი და დაფარული, წმინდა ხატის ღვთისმშობლის სასწაულებრივი ძალით მუდამ უძლებს ყოველგვარ გასაჭირს და ამყარებს იმ სულიერ გზაზე, რომელიც ღვთისკენ მიმავალ გზად ცნაურდება. ასევე აკაკის საანალიზო პოემაშიც დასტურდება, ქართველთა ივერთა მონასტერთან "მოსცურა ახლოს ღვთისმშობლის ხატმა/ და დაიყენა თავს ნათელიო"; ეს ხატი ადამიანის ხელს არ იკარებდა, რაც მეტყველებს მის უდიდეს ღვთიურობასა და სიწმინდეზე, განსაკუთრებულობაზე, რასაც თვითონ ხატი ინახავდა და იფარავდა დაფარულად, თითქოს ყველა ვერ ხედავდა, რომ: "ღამით ნათელი/ და დღისით რაღაც ნისლი ჰბურავსო", — ვკითხულობთ პოემაში; ისევ დედა ღვთისას გამოცხადებით (ეცხადება ბერს), აუწყებს ერთ ბერს: ქართველთა სავანეში მყოფ ივერიელ ბერს — გაბრიელს უნდა შეეხო მხოლოდ მისთვის ხელი, დაესვენებინა შესავალ კართან და "და იმ დღიდანვე სასწაულმოქმედს/ დაერქვას: "კარის ღვთისმშობელიო!" დასვენებისთანავე, "გამოიხატა ცაზე გვირგვინი,/ ვარსკვლავებისგან გამოჭედილი/ დაადგა თავზე ივერთ მონასტერს/ და გაანათა წმინდა ადგილი/ და ნათლის სხივებს აელვარებდა" ("თორნიკე ერისთავი", აკ. წერეთელი, 1977, გვ. 193-194). აქ დაწესდა "ღვთისმშობლობა", რომლის ხსენების დღეს, სიზმრად ხილვისას, აქ მოსულიყვნენ თამარი, ნინო, ქეთევანი: თამარი ძლევის გვირგვინით, ქეთევანი — სახე წმინდა მოწამეობისა, ნინოს კი ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,/ ნიშანი დიდი ქრისტიანობის. მათ აღავლინეს ტკბილი საგალობელი: "— დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია/ ეს საქართველო დიდჭირნახული,/ შეუნდევ ცოდვა!../ ...მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,/ და

გადმოსახე ძლიერად ჯვარი,/ რომ აღადგინო ქართველთა ერი,/ დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!'' (აკ. წერეთელი, 1977, გვ. 194).

ლოცვითი საგალობლის შემდეგ ცისარტყელა გამოისახა ცაზე, რაც უკეთესი, ნათელი მომავლის, მშვიდობის საწინდარია. აკაკი წერეთლის "თორნიკე ერისთავი", სათქმელის თვალსაზრისით, ამოუწურავია, მხოლოდ ერთი ნაშრომი ვერ იტვირთავს იქ თქმულის ამოკითხვას და გააზრებას, მაგრამ მცირეოდენ წვლილს კი შეიტანს მისი საღვთისმეტყველო საზრისით წაკითხვისა და შესწავლის საქმეში. პოემაში პოეტის მიერ გაცოცხლებულია საქართველოს და ქართველი ერის მუდამ მფარველის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახე, რომლის კალთის ქვეშ შეფარული მადლით აღვსილი და ნათლით გასხივოსნებული ქართველი ადამიანი მუდამ სულიერად სუნთქავს და ინარჩუნებს არსებობას.

დამოწმებული ლიტერატურა

ახალი აღთქუმაჲ, 1963 — ახალი აღთქუმაჲ, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, ტფ., 1963.

კ. აბაშიძე, 1991 — კ. აბაშიძე, აკ. წერეთელი, "ქრესტომათიული კრიტიკა XIX საუკუნე'', თბ., 1991.

ვ. ბარნოვი, 1990 — ვ. ბარნოვი, აკაკი წერეთელი, "აკაკის სამრეკლო", თბ., 1990.

ქ. ბეზარაშვილი, ბ. კული, 2000 — ქ. ბეზარაშვილი, ბ. კული, "მაყვლოვანის'' გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, კრებ. "ლიტერატურული ძიებანი", ტ. XXI, თბ., 2000.

დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, 2000 — დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხარებისადმი მიძღვნილი საკითხავები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში, კრებ. "ლიტერატურული ძიებანი", ტ. XXI, თბ., 2000.

ქ. ელაშვილი, 2000 — ქ. ელაშვილი, ღვთისმშობლის სიმბოლური სახე და ადრეული პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფია, კრებ. "ლიტერატურული ძიებანი", ტ. XXI, თბ., 2000.

თეიმურაზ პირველი, 1934 — თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934.

ივ. ლოლაშვილი, 1978 — ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1978.

ს. მახარაშვილი, 2000 — ს. მახარაშვილი, სადღესასწაულო ჰომილიათა თეოფილესეული თარგმანები, კრებ. "ლიტერატურული ძიებანი", ტ. XXI, თბ., 2000.

აკ. მინდიაშვილი, 2003 — აკ. მინდიაშვილი, ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში, თბ., 2003.

რ. სირაძე, 1997 — რ. სირაძე, "წმინდა ნინოს ცხოვრება'' და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997.

ქართული პოეზია, 1979 — ქართული სასულიერო პოეზია, ტ. I, თბ., 1979.

ძეგლები, 1963 — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-XIს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963.

ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986 — ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ, თბ., 1986.

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971 — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელენე მეტრეველის გამოცემა, თბ., 1971.

აკ. წერეთელი, 1980 — აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980.

აკ. წერეთელი, 1977 — აკ. წერეთელი, რჩეული ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, პოემები, თბ., 1977.

DALI BETKHOSHVILI

ICON OF ST. MARY IN THE WORKS OF AKAKI TSERETELI
("Tornike Eristavi")

Praying for St Virgin icon has frequent mode in Georgian fiction writing , by the strengh of which complex mystical-real plan becomes evident, things which are hidden for human contemplation but it's still possible to understand it. St. Virgin icon conveys the mission to lead people towards spiritual depth and let them realize its eternity.

In the poem of Akaku Thereteli "Tornike Eristavi" icon of St. Virgin is alive with fiction word, her mission, the idea inheritance as the exposition of truth; Describing the icon of St. Virgin completer the mind of Georgian Person, to find the way of survival and solution.

In the poem of Akai Thereteli "Tornike Eristavi" poet vividly describes the icon of St. Virgin whi is the survivor of Geogia and Georgian nation, Georgian person filled and enlighted with her grace and under her lap breaths spiritually and maintains existence.